საერო სკოლა ,,ბინულის" სასკოლო გეგმა

დამტკიცებულია პარტნიორთა კრებაზე. ოქმი#1/15 , 7. 09.2015

გენ. დირექტორი /მ. კობახიძე/

სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული საერო სკოლა ,,ბინულის"

სასკოლო სასწავლო გეგმა

თბილისი

2015-2016 სასწავლო წელი

შესავალი

სკოლის მისიაა შექმნას ჰარმონიული და ეფექტური გარემო მოზარდის პიროვნული, სოციალური და კულტურული ზრდისათვის; ხელი შეუწყოს მოსწავლის ინტელექტუალური პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენას და განვითარებას, გარემომცველი სამყაროს, ქვეყნის, ოჯახის სიყვარულისა და ერთგულების გრძნობის გაღვივებას, დემოკრატიული ფასეულობების გაცნობიერება - ჩამოყალიბებას, სამოქალაქო - სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებას და სულიერ განვითარებას; თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი ცოდნის ფორმირებას და მოზარდის მომზადებას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისათვის.

სასკოლო სასწავლო გეგმა ეყრდნობა ეროვნულ სასწავლო გეგმასა და განათლების ეროვნულ მიზნებს, გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეიცავს ხედვას, პრობლემის გადაჭრის გზებს, ღირებულებებსა და ფასეულობებს, რომლითაც სკოლა ხელმძღვანელობს თავისი საქმიანობის პროცესში.

სკოლის პრიორიტეტული მიმართულებაა ადრეული ასაკიდანვე გაღრმავებული ინგლისური ენის, მათემატიკის და ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლება, რაც გულისხმობს სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად მიწოდებას, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვა-დამუშავებას.

სკოლის მისიისა და პრიორიტეტების მისაღწევად პირველ - მეშვიდე კლასების მოსწავლეებისათვის სკოლა წარმოადგენს დღის პანსიონს, რაც ითვალისწინებს სასწავლო რეჟიმის გახანგრძლივებას და შესაბამისად დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას, ხოლო მერვე-მეთორმეტე კლასებში სასწავლო რეჟიმი მიმდინარეობს სასკოლო გეგმის შესაბამისად.

სასკოლო გეგმის პროექტს შეიმუშავებენ პედაგოგები და კათედრები გასული სასწავლო წლის ანალიზის საფუძველზე, განიხილავს პედაგოგიური საბჭო და ამტკიცებს პარტნიორთა კრება.

თავიI.
მუხლი 1. სასწავლო წლის ხანგრძლივობა

სასწავლო წელი იწყება 10 სექტემბრის მომდევნო ორშაბათს და მთავრდება 10 ივნისის მომდევნო პარასკევს. სასწავლო წელი გრძელდება 34 კვირა, I და XII კლასელთათვის განისაზღვრება 33 კვირით. აკადემიური მოსწრების შუალედური შეფასებისთვის სასწავლო წელი იყოფა ორ სემესტრად, მას სემესტრებად ყოფს ზამთრის არდადეგები. პირველკლასელთათვის თებერვლის ბოლოს ცხადდება დამატებითი ერთკვირიანი არდადეგები, ხოლო მეთორმეტე კლასელთათვის სასწავლო წელი მთავრდება კანონმდებლობის შესაბამისად. (იხ. დანართი 4. სასწავლო წლის კალენდარი).

მუხლი 2. მოსწავლეთა რაოდენობა კლასებში

სკოლის ნორმატიული აქტების თანახმად (დებულება, შინაგანაწესი) კლასის მოსწავლეთა რაოდენობა პირველ - მეექვსე კლასებში არ აღემატება 18-ს, ხოლო მეშვიდე-მეთორმეტე კლასებში 22-ს. კლასის მაქსიმალური დატვირთვის შემთხვევაში, სკოლის პრიორიტეტების გათვალისწინებით, კლასი შეიძლება დაიყოს ქვეჯგუფებად ინგლისურისა და მათემატიკის გაკვეთილებზე, საჭიროების შემთხვევაში კი, პარალელური კლასების - გოგონებად და ბიჭებად - ცეკვის, მუსიკის, გამოყენებითი ხელოვნების, ტექნოლოგიების, რაგბისა და ტანვარჯიშის გაკვეთილებზე.

მუხლი 3. მოსწავლეების დაყოფა დონეების მიხედვით

სკოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიას წარმოადგენს სწავლების პროცესში პიროვნების ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინება, შესაძლებლობებისა და ინტერესების მაქსიმალურად გამოვლენა და განვითარება, რაც მიიღწევა მოსწავლეებზე მორგებული მოდიფიცირებული სასწავლო გეგმითა და დამატებითი გაკვეთილის ორგანიზებით. (თუ სხვა სკოლიდან გადმოსული მოსწავლის გასაუბრებისას, ან საპატიო მიზეზით მოსწავლის გაცდენებისას, გამოვლინდა შეუსაბამობა სკოლის საგნობრივ სტანდარტებთან, საგნის მასწავლებელი ქმნის მოდიფიცირებულ სასწავლო გეგმას და ახორციელებს სწავლებას პრობლემის გადაჭრამდე); ამიტომ კლასის მოსწავლეთა კონტიგენტი მრავალფეროვანია და არ ითვალისწინებს დონეებად დაყოფას, გარდა უცხოური ენების გაკვეთილებისა, რომელზედაც კლასი შესაძლოა დაიყოს ქვეჯგუფებად, დონეების მიხედვით.

მუხლი 4. სკოლის საერთო კულტურის ჩამოყალიბება

მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა შორის ჰარმონიული ურთიერთობების, გუნდური თანამშრომლობის, პასუხისმგებლობის გაზრდის, ურთიერთნდობისა და პატივისცემის განვითარების მიზნით, იგეგმება ერთობლივი

ღონისძიებები (მიზნობრივი ექსკურსიები, კონფერენციები, პროექტები, ვიქტორინები, გასვლითი საანგარიშო კონცერტები და სხვა), იქმნება ინტერესთა ჯგუფები, კლუბები, წრეები, რომელშიც გაერთიანებულია სხვადასხვა ასაკის, საერთო მისწრაფებების მქონე მოსწავლეები; მათ საშუალება ეძლევათ ერთობლივად დაგეგმონ და განახორციელონ, სხვადასხვა ხასიათის შემეცნებითი, სპორტული და სახელოვნებო აქტივობები და აქციები, რაც ხელს უწყობს ერთის მხრივ სკოლის პოპულარიზაციასა და საერთო კულტურის ჩამოყაალიბებას, მეორეს მხრივ სამოქალაქო ცნობიერებისა და აქტიურობის განვითარებას.

მუხლი 5. სადამრიგებლო პროგრამა

სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე (სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი I–VII კლასებში მიმდინარეობს 9.00 საათიდან 17.55 საათამდე, დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და სავალდებულოა ყველა მოსწავლისათვის), დამრიგებლის ფუნქცია და მოვალეობები მნიშვნელოვნად იზრდება, რის გამოც კლასს, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული დამრიგებლისა, რომელიც არის ამ სკოლის პედაგოგი, ენიშნება დამრიგებლის თანაშემწე, ე.წ. კოორდინატორი, რომელიც მთელი დღის განმავლობაში კოორდინაციას უწევს დღის რეჟიმით განსაზღვრულ კლასის საქმიანობას და ინაწილებს სადამრიგებლო პროგრამის განხორციელების ვალდებულებასა და პასუხისმგებლობას. (შენიშვნა: მცირე კონტიგენტიანი კლასების შემთხვევაში დაწყებითი კლასის მასწავლებელი შეიძლება იყოს ორი კლასის დამრიგებელი).

1. დამრიგებლის/კოორდინატორის მუშაობის მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში, პიროვნული, ზნეობრივი, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებაში; იგი ხელს უწყობს მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, უვითარებს დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გააზრებაში.
2. დამრიგებლის/ კოორდინატორის მოვალეობებია:

ა) გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმისა და შეფასების სისტემის შესაბამისი საკითხები და სხვ.);

ბ) რეგულარულად ჩაატაროს სადამრიგებლო საათი. სადამრიგებლო საათის მიზანია მოსწავლის კრიტიკული, ანალიტიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება. სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებელმა ასაკის შესაბამისად უნდა იმუშაოს შემდეგ მიმართულებებზე:

- პიროვნული და მორალური განვითარება;
- გარემოსდაცვითი კულტურის განვითარება;
- მეწარმეობის უნარების განვითარება;
- ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია; უსაფრთხოება და ძალადობისგან თავისუფალი სკოლის პოპულარიზაცია;
- მოქალაქეობრივ-პატრიოტული ცნობიერების ამაღლება;
- თვალსაწიერის გაფართოება.

ზემოთ მოყვანილი მიმართულებების გათვალისწინებით არანაკლებ კვირაში ერთხელ I-IV კლასებში ჩაატაროს კითხვის საათი, რომელიც ორიენტირებული იქნება წიგნიერების კომპეტენციის გაძლიერებაზე შემდეგი მეთოდებით:

- კითხვის ტექნიკის გაძლიერებით;
- წაკითხულის განხილვა-გააზრებით;
- ანალიზის უნარის განვითარებით;
- მსჯელობის უნარის განვითარებით;
- პრეზენტაციის უნარის განვითარებით;
- შემოქმედებითი უნარების განვითარებით და სხვ.

ბ[1]) საბაზო და საშუალო საფეხურებზე, კერძოდ, IX კლასსა და XI ან XII კლასში ჩაატაროს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილები;

ბ[2]) X კლასში სადამრიგებლო საათის ფარგლებში იმუშაოს ცხოვრების ჯანსაღი წესისა და სამოქალაქო ცნობიერების განვითარების თემატიკაზე.

გ) დაეხმაროს მოსწავლეს სასკოლო გარემოში წამოჭრილი სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში;

დ) იყოს შუამავალი მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს შორის პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში;

ე) რეგულარულად (მინიმუმ თვეში ერთხელ მაინც) მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის,

დისციპლინის, პიროვნული პრობელემებისა თუ წარმატებების შესახებ. <u>დაუშვებელია ერთი მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის შესახებ სხვისი თანდასწრებით საუბარი.</u>
ვ) საჭიროების შემთხვევაში, შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია;
ზ) I-XII კლასებისთვის სასწავლო წლის ბოლოს, მასწავლებლებისგან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გააკეთოს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის აკადემიური მიღწევის, გაკვეთილებზე დასწრებისა და ქცევის ანალიზი და დაწეროს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათება. დახასიათებაში აღწერილი უნდა იყოს მოსწავლის ძლიერი მხარეები, მისი წარმატებები როგორც აკადემიური, ასევე სოციალური ურთიერთობების თვალსაზრისით, მოსწავლის მონაწილეობა წრეებში, სპორტულ შეჯიბრებებსა თუ სხვა სახის ღონისძიებებში; დახასიათებაში ასევე გაანალიზებული უნდა იყოს ყველა ის საკითხი, რომელიც არსებითია მოსწავლის კოგნიტური, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარებისათვის. ეს ინფორმაცია ყოველწლიურად უნდა მიეწოდოს მშობელს კომუნიკაციის ნებისმიერი ფორმით.
თ) მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში, დამრიგებელმა უნდა მოამზადოს ინფორმაცია მისი აკადემიური მიღწევისა და გაკვეთილებზე დასწრების შესახებ მოსწავლის პირად საქმეში შესატანად.
4. დამრიგებლის/კოორდინატორის მუშაობა ეყრდნობა შემდეგ პრინციპებს:
ა) სრულფასოვანი აღზრდა - სააღმზრდელო მუშაობა მიმართული უნდა იყოს პიროვნების ფიზიკური, კოგნიტური და ემოციურ-სოციალური განვითარებისაკენ;
ბ) მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენა - დამრიგებლის ფუნქციაა მოსწავლის პოტენციური ძალების ამოქმედება და მათი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის სათანადო პირობების შექმნა;
გ) მოსწავლეებში პასუხისმგებლობისა და ვალდებულების გრძნობის განვითარება - დამრიგებელმა მოსწავლეთა ჩართულობის ხელშესაწყობად საშუალება უნდა მისცეს მათ მონაწილეობა მიიღონ აქტივობების (ზეიმები, ლაშქრობები, ექსკურსიები და სხვ.) დაგეგმვასა და ამ დროს წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში. დამრიგებელმა მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები;
დ) თანამშრომლობის პრინციპი – დამრიგებლის ურთიერთობა მოსწავლეებთან უნდა ემყარებოდეს თანამშრომლობას, ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთნდობას.
ე) დამრიგებელმა მუშაობის პროცესში უნდა გამოიყენოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ შემუშავებული შესაბამისი მეთოდური სახელმძღვანელოები და გზამკვლევები და სკოლის რეკომენდაციები.
5. დამრიგებელი/კოორდინატორი ვალდებულია განუვითაროს მოსწავლეებს სასკოლო და საკლასო გარემოზე ზრუნვისა და მოფრთხილების უნარ-ჩვევა.
6. დამრიგებლის/კოორდინატორის საქმიანობის აღრიცხვისა და ორგანიზების მიზნით, იგი ქმნის საქაღალდეს, ე.წ. პორტფოლიოს, რომელშიც თავს უყრის თავისი საქმიანობის ამსახველ ყველა დოკუმენტს.

თავიII.
მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესის დაგეგმვა
მუხლი 6. საგნობრივი კათედრები

თანამშრომლობისა და გუნდური პასუხისმგებლობის, სწავლების ერთიანი სტრატეგიების ჩამოყალიბების, ინტერესთა გაერთიანების, წარმატებული გამოცდილების გაზიარებისა და სამოქალაქო აქტიურობის ხელშეწყობის მიზნით, სკოლაში იქმნება მასწავლებელთა გაერთიანებები ე.წ. კათედრები.

1. სკოლაში ფუნქციონირებს 7 კათედრა:
   - დაწყებითი სწავლების,
   - ქართული ენისა და ლიტერატურის,
   - მათემატიკისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების,
   - უცხოური ენების,
   - საზოგადოებრივი მეცნიერებების,
   - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების,
   - ფიზიკური, შრომითი და ესთეტიური აღზრდის.
2. კათედრების ფუნქციებია:
   - საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირება;
   - ერთმანეთის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;
   - ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების შერჩევა,

- შეფასების სისტემისა და შესაბამისი ინდიკატორების შემუშავება და აღწერა;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და საგაკვეთილო პროცესისთვის დამხმარე სასწავლო მასალებისა და სასკოლო ბიბლიოთეკისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა;
- სხვა საგნობრივი ჯგუფების მასწავლებლებთან კოორდინირებული მუშაობა ;
- ზრუნვა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის;
- რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით.
- შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი.

4. კათედრების მოწყობა:

ა) კათედრის თავმჯდომარეს ირჩევს კათედრა ერთი სასწავლო წლის ვადით.

ბ) ერთი და იმავე პირის არჩევა კათედრის თავმჯდომარედ შესაძლებელია ზედიზედ სამჯერ.

5. კათედრის თავმჯდომარის ფუნქციებია:
   - კათედრის გამგის პორტფოლიოს წარმოება;
   - კათედრის რეგულარული შეხვედრების ორგანიზება (დღის წესრიგის მომზადება, საჭიროების შემთხვევაში ოქმებისა და საბუთების წარმოება);
   - კათედრაზე მიღებული გადაწყვეტილებების მიწოდება სკოლის მართვის ორგანოებისათვის;
   - პროფესიული განვითარებისთვის სასარგებლო აქტივობების (გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების, სხვა კათედრებთან თანამშრომლობის, კოლეგებთან შეხვედრების, ტრენინგების, კონფერენციების და სხვ.) ორგანიზება.
6. კათედრები ვალდებულნი არიან:

   ა) შეიმუშავონ წლიური სამუშაო გეგმა და მიმდინარეობის შესახებ ანგარიში ჩააბარონ სკოლის ადმინისტრაციას; (წლის განმავლობაში მინიმუმ ექვსი სამუშაო შეხვედრა);

   ბ) შეიმუშავონ მასწავლებლის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტების ორგანიზების ჩარჩო; (მასწავლებლის საქაღალდე)

   გ) განიხილონ და რეკომენდაცია გაუწიონ საგნის სწავლების პროგრამებსა და თემატურ გეგმებს;

   დ) შეისწავლონ საგნის სწავლების სასკოლო სტანდარტის მიმდინარეობა, დასახონ გზები ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და წარუდგინონ ადმინისტრაციას წერილობითი ფორმით.

თავიIII.
მუხლი 7. სკოლის საქმიანობის შეფასება

სკოლის საქმიანობის შესწავლა ეყრდნობა თვითშეფასებას, შიდა და გარე მონიტორინგს, პერიოდულ შემოწმებასა და შეფასებას. მონიტორინგი წარმოადგენს მონაცემების შეგროვების პროცესს, სიტუაციის მუდმივ მეთვალყურეობას, ანალიზსა და შემოწმებას. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების სასკოლო მონიტორინგი ემყარება ტესტირების შედეგებს. ტესტების შინაარსი სხვადასხვა ხასიათისაა, გარდა საგანმანათლებლო სტანდარტის შესრულებისა, ვიკვლევთ სხვადასხვა შესაძლებლობებსა და უნარებს, მათ შორის ენობრივ, ლოგიკურ, რაოდენობრივი აზროვნების, წაკითხულის გააზრების, მსჯელობა - არგუმენტირებისა და სხვა.

სასწავლო პროცესის მეცნიერულად მართვის მონიტორინგის მიზნით ადმინისტრაცია გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს, მათ შორის საგაკვეთილო პროცესზე და მასწავლებელზე დაკვირვება, სამოდელო გაკვეთილების ორგანიზება - ანალიზი; მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვა, მასწავლებელთა საქმიანობის საჯარო წარდგინება და ანგარიში და სხვა.

შეფასება არის მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობილი სასწავლო პროცესის ანალიზი. შედეგებიდან გამომდინარე გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრის მიზნით, იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა აქტივობები: დამატებითი გაკვეთილები (ჯგუფურად ან ინდივიდუალურად), მასწავლებელთა მიზნობრივი ტრენინგები, განხილვები და სხვა.

შემოწმება მოსწავლეებისა და მასწავლებლების პროგრესისა და მიღწევების გაანალიზების საშუალებაა; ამ მიზნით ყოველი სესმესტრის ბოლოს დგინდება არსებული სიტუაცია, იქმნება სტატისტიკური სურათი ყველა პარამეტრის მიხედვით, დგინდება რეიტინგები, შეისწავლება წარმატებული მოდელები და ხდება მაჩვენებლების განზოგადება - წახალისება.

მუხლი 8. მოსწავლის შეფასების მიზანი, პრინციპები და მიდგომები

1. მოსწავლის შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვასა და კონტროლს.
2. მოსწავლე უნდა შეფასდეს სხვადასხვა ფორმებით (ესსე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტის ჩატარება, ცდის ჩატარება, წარმოდგენა, წერითი, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი, არგუმენტირებული მსჯელობა და სხვ.).
3. მოსწავლემ წინასწარ უნდა იცოდეს, რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა.

მუხლი 9. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება

სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. განმსაზღვრელ შეფასებაში იწერება ქულა. განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორიცაა სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა და სხვ.

	განმავითარებელი	**განმსაზღვრელი**
მიზანი	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა	სწავლის ხარისხის გაკონტროლება; მოსწავლის მიღწევის დონის დადგენა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში; აკადემიური მოსწრების დონის განსაზღვრა
შეფასების საგანი	სწავლის პროცესი	სწავლის შედეგი
შეფასების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება	წინსვლის ხელშესაწყობად განსხვავებული აქტივობის შერჩევა, სწავლების სტრატეგიის შეცვლა, რჩევა-დარიგების მიცემა და სხვ.	მომდევნო ეტაპზე (კლასში/საფეხურზე) დაშვება/არდაშვება
წარმარტების კრიტერიუმების განსაზღვრა	კონკრეტული მოსწავლის წინსვლის საფუძველზე (საკუთარ მიღწევებთან მიმართებით - რა დონეს ფლობდა, რა დონეს ფლობს)	იმის საფუძველზე, თუ რამდენად მიაღწია სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს (ყველასათვის საერთო, სტანდარტით დადგენილ ნორმასთან მიმართებაში)
შეფასების საშუალებები	თვით/ურთიერთშეფასების რუბრიკა; კითხვარი; სიტყვიერი ზეპირი/წერილობითი) კომენტარი; უნარის განვითარების დონის აღწერა.	ქულა

მუხლი 10. აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა

1. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით, ხუთი დონის მიხედვით.
2. I-IV კლასებში მოსწავლე არ ფასდება ქულებით. სემესტრის ბოლოს, ამ კლასების ყველა პედაგოგი ვალდებულია მიაწოდოს დამრიგებელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევების შესახებ (განმავითარებელი შეფასება), წლის ბოლოს კლასის დამრიგებელმა, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, უნდა დაწეროს მოკლე, შემაჯამებელი წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს და მიუთითებს, რაში სჭირდება მოსწავლეს გავარჯიშება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად.
3. V-XII კლასებში მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით.
4. მოსწავლე ფასდება სასკოლო გეგმით გათვალისწინებულ როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით საგნებში.

5. V-XII კლასებში საგანში "სპორტი" მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.
5[1]. საგანში ,,საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება" მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.
6. დამატებითი სავალდებულო საგნის/საგნების შეფასება არ იანგარიშება საფეხურის საერთო ქულის გამოთვლისას.
7. მოსწავლე "აბიტურის საათის" ფარგლებში შესაძლებელია შეფასდეს განმავითარებელი შეფასებით.

მუხლი 11. საგნის სემესტრული ქულის შემადგენელი კომპონენტები

1. სემესტრის მანძილზე მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით:

ა) საშინაო დავალება;
ბ) საკლასო დავალება;
გ) შემაჯამებელი დავალება.

2. შეფასების სამივე კომპონენტს ერთნაირი წონა აქვს.
3. საშინაო და საკლასო დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.
4. შემაჯამებელი დავალების კომპონენტში აუცილებელია განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება.
5. სასკოლო გეგმა თითოეული საგნისათვის განსაზღვრავს სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალურ რაოდენობას. ამ კომპონენტით შეფასებისას:
ა) სტანდარტის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, აუცილებელია შემაჯამებელი დავალების მრავალგვარი ფორმის გამოყენება (თხზულება, მოხსენება, რეფერატი, პროექტი, საველე-გასვლითი სამუშაო, ლაბორატორიული კვლევა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში და სხვ.);
ბ) მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება.;
გ) თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ სამუშაოს გაცდენის გამო, მასწავლებელი ვალდებულია შემაჯამებელი სამუშაოს აღდგენა უზრუნველყოს მოსწავლის სკოლაში გამოცხადებიდან ერთი კვირის განმავლობაში;
გ[1]) თითოეული მასწავლებელი ვალდებულია, შეაგროვოს და შეინახოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს: სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურებოდა კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდა ეს დავალებები; მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული სამუშაოს რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული სამუშაოს ამსახველი ვიზუალური მასალა; თითოეული კლასის მოსწავლეთა მიერ მიღებული ქულები.

მუხლი 12. განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასების შემდეგი სახეობები:
ა) საგნის მიმდინარე და შემაჯამებელი ქულები – საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი კომპონენტის ქულები, რომლებსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში;
ბ) საგნის სემესტრული ქულა – საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში (სემესტრული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, გამოითვლება მისი გათვალისწინებით);
გ) საგნის წლიური ქულა – სემესტრული ქულებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. წლიურ ქულაში შეიძლება წლიური გამოცდის ქულაც აისახოს, თუ ასეთი გამოცდა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით და სკოლის მიერ განსაზღვრულია, რომ მას გავლენა ექნება საგნის წლიურ ქულაზე;
ე) საფეხურის საერთო ქულა – ზოგადი განათლების რომელიმე საფეხურის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) საერთო შეფასება.

მუხლი 13. ქულების გამოანგარიშების წესი

1. საგნის სემესტრული ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში სამივე კომპონენტში (საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი) მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობაზე;
ბ) მიღებული ქულა უნდა დამრგვალდეს მთელის სიზუსტით (მაგ., 6.15 მრგვალდება 6-მდე, 7.49 მრგვალდება 7-მდე, 8.5 მრგვალდება 9-მდე);
გ) იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული ქულის

გამოსაანგარიშებლად სამივე კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულებისა და შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე.

2. საგნის წლიური ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) საგნის წლიური ქულის გამოსაანგარიშებლად საგნის სემესტრული ქულების ჯამი უნდა გაიყოს ორზე;

ბ) საგნის წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით (მაგ., 7.25 მრგვალდება 7-მდე, 4.49 მრგვალდება 4-მდე, 9.5 მრგვალდება 10-მდე);

გ) თუ სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს წლიური გამოცდის ჩატარებას და განსაზღვრულია, რომ ამ გამოცდის ქულაც აისახება წლიურ ქულაზე, მაშინ საგნის წლიური ქულა სამი (ორი - საგნის სემესტრული და ერთი - გამოცდის) ქულის საშუალო არითმეტიკულია (დამრგვალებული მთელის სიზუსტით);

3. საფეხურის საერთო ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) საფეხურის ქულის გამოთვლისას ჯამდება საფეხურის მანძილზე ნასწავლი ყველა საგნის წლიური ქულა და ჯამი იყოფა ქულების საერთო რაოდენობაზე;

ბ) საფეხურის საერთო ქულა მრგვალდება მეათედის სიზუსტით (მაგ., 6.43 მრგვალდება 6.4-მდე, 7.58 მრგვალდება 7.6-მდე).

1. კლასი დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის თითოეული საგნის წლიური ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და მოსწავლეს მიღებული აქვს ჩათვლა ე.ს.გე. განსაზღვრულ საგნებში, რაც აძლევს მას მომდევნო კლასში გადასვლის უფლებას.

2. დაწყებითი საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დაძლეული აქვს V-VI კლასები, რაც აძლევს მას საბაზო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.

3. საბაზო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დაძლეული აქვს საბაზო საფეხურში შემავალი ყველა კლასი, რაც აძლევს მას საბაზო განათლების ატესტატის აღების ან/და საშუალო საფეხურზე გადასვლის უფლებას.

4. საშუალო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დაძლეული აქვს საშუალო საფეხურში შემავალი ყველა კლასი.

მუხლი 14. გაცდენები

თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესი მოითხოვს მოსწავლეების მხრივ განსაკუთრებულ აქტიურობას. ეს გულისხმობს მოსწავლეების მიერ არა მხოლოდ აქტიურ მონაწილეობას განათლების მიღების პროცესში, არამედ თანატოლების სწავლის პროცესში მონაწილეობასაც. გაკვეთილზე ჯგუფური მუშაობისას, პროექტებში მონაწილეობისას, წარმოდგენების დაგეგმვისა თუ განხორციელებისას; მოსწავლეები ერთმანეთს ეხმარებიან სხვადასხვა კონცეფციის უკეთესად გაგებაში, უნარ-ჩვევების დაუფლება-განვითარებაში და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში. შესაბამისად, მოსწავლეების გაკვეთილებზე დასწრების უზრუნველყოფა სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზრუნავია.

1. მოსწავლის გაცდენები სასკოლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა საგანში, აღირიცხება მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალში.

1[1]. გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი. თითოეული მასწავლებელი ვალდებულია გაკვეთილის დასაწყისში აღრიცხოს მოსწავლეთა დასწრება.

2. თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.

2[1]. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა არ ვრცელდება აბიტურის საათის გაცდენის შემთხვევაში; ასევე იმ შემთხვევაში, თუკი მოსწავლე აღადგენს კონკრეტულ საგანში გაცდენილ შემაჯამებელ დავალებას.

3. სკოლა ვალდებულია შინ სწავლების რეჟიმზე გადაიყვანოს ის მოსწავლეები, რომლებსაც სჭირდებათ მკურნალობა ერთ თვეზე მეტი ვადით და აღნიშნული ცნობილი ხდება სკოლისათვის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეზე, შინ სწავლებაზე გადასვლის მომენტიდან, არ გავრცელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა.

4. იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ საერთაშორისო სასპორტო და სახელოვნებო ღონისძიებებში, აგრეთვე საერთაშორისო და ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებში, სკოლის გაცდენის შემთხვევაში მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, დირექტორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების კონკრეტული მოსწავლის მიმართ გაუვრცელებლობის თაობაზე.

მუხლი 15. გამოცდის ტიპები

სკოლაში შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები:
ა) სემესტრული გამოცდა;
ბ) წლიური (სასწავლო წლის დამამთავრებელი) გამოცდა;
გ) საშემოდგომო გამოცდა;
დ) ექსტერნატის გამოცდა;
ე) სკოლის გამოსაშვები გამოცდა.

მუხლი 15[1]. სემესტრული გამოცდა

1. სემესტრული გამოცდა ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის. ამ შემთხვევაში, მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი წერილობით მიმართავს სკოლის დირექტორს. დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ. დაშვებაზე უარის შემთხვევაში, გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული.
2. მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, სკოლამ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები სემესტრული გამოცდის ობიექტურად და მიუკერძოებლად ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით.
4. სემესტრულ გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა გამოითვლება შემდეგი წესით: სემესტრული გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.
5. სემესტრული გამოცდა ინიშნება სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში.

მუხლი 15[2]. წლიური გამოცდა

1. მიმდინარე სასწავლო წელს წლიური გამოცდები შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ მონიტორინგისა და შეფასების მიზნით, საფეხურის დამამთავრებელ კლასებში, გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდების მიხედით.
2. წლიური გამოცდის ქულას გავლენა აქვს საგნის წლიურ ქულაზე, საგნის წლიური ქულის გამოთვლისას წლიური გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულებს და ჯამი იყოფა სამზე.

მუხლი 15[3]. საშემოდგომო გამოცდა

1. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის საგნის წლიური ქულა არის 5-ზე ნაკლები, სკოლა ვალდებულია მოსწავლეს დაუნიშნოს საშემოდგომო გამოცდა ამ საგანში, რაც აუცილებლად უნდა გაფორმდეს შესაბამის ბრძანებით, ვადების, ფორმის და პროცედურის მითითებით.
2. საშემოდგომო გამოცდა უნდა ჩატარდეს სასწავლო წლის დასრულებიდან არაუადრეს ორი კვირისა და სასწავლო წლის დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.
3. საშემოდგომო გამოცდამდე მოსწავლეს უნდა მიეცეს არანაკლებ 2 კვირის ვადა მომზადებისთვის. სკოლა ვალდებულია გაუწიოს კონსულტაციები მოსწავლეს იმ საგანში/საგნებში, რომლებშიც მას დაენიშნა აღნიშნული ტიპის გამოცდა.
4. მოსწავლე საგნის/საგნების წლიურ შეფასებას იღებს საშემოდგომო გამოცდის საფუძველზე (საშემოდგომო გამოცდის ქულა ხდება საგნის წლიური ქულა).

მუხლი 15[4]. ექსტერნატის გამოცდა

1. ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით.
2. ექსტერნატის გამოცდას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების პროგრამებს ძირითადად დამოუკიდებლად ძლევენ და ექსტერნის გამოცდას აბარებენ შესაბამისი განათლების დასადასტურებლად, რაც მათ შემდეგ კლასში/საფეხურზე სწავლის გაგრძელების ან საბაზო/საშუალო განათლების ატესტატის მიღების საშუალებას მისცემს, აბარებენ აგრეთვე ის მოსწავლეები, რომლებზედაც ვრცელდება ამ სასწავლო გეგმის 14-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

მუხლი 15[5]. სკოლის გამოსაშვები გამოცდა

1. სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის – ატესტატის მისაღებად მოსწავლეს დაძლეული უნდა ჰქონდეს საშუალო საფეხური და სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე მიღებული უნდა ჰქონდეს დადებითი შეფასება.

2. სკოლის გამოსაშვები გამოცდის ჩატარების ვადები, წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით.

მუხლი 16. ზოგადი განათლების სხვადასხვა საფეხურების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტები

ზოგადი განათლების სხვადასხვა საფეხურების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ტიპები და მათი გაცემის წესი განსაზღვრება კანონმდებლობით.

მუხლი 17. მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება

1. შეფასების მაღალი დონე (ქულები 9-დან 10-ის ჩათვლით) გულისხმობს სასწავლო წლის ან საფეხურის წარჩინებით დამთავრებას.
2. მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულაა 10 დამრგვალების გარეშე და მიიღებს დადებით შეფასებას სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე, იღებს სრული ზოგადი განათლების ოქროს მედალოსნის ატესტატს.
3. მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულა არის 9.8 ან მეტი და მიიღებს დადებით შეფასებას სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე, იღებს სრული ზოგადი განათლების ვერცხლის მედალოსნის ატესტატს.

თავიIV. ძირითადი მეთოდური ორიენტირები

მუხლი 18. ბავშვზე ორიენტირებული სწავლება

ბავშვზე ორიენტირებული სწავლების საფუძველს წარმოადგენს ბავშვის განვითარების თეორიების ცოდნა. მასწავლებელს უნდა ესმოდეს ბავშვის განვითარების ფსიქოემოციური თავისებურებები და ითვალისწინებდეს სწავლების პროცესში. იცნობდეს სწავლება - სწავლის წარმატებულ თეორიებს, მათ შორის კოგნიტურს, მრავალმხრივი ინტელექტის, მორალური განვითარების, განწყობის, მოტივაციის და სხვა. სწავლების პროცესში მასწავლებელი ერთ გაკვეთილზე სხვადასხა სტრატეგიას უნდა იყენებდეს, რათა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებები, მათი სწავლის სტილი. უნდა ახალისებდეს მოსწავლეთა აზროვნებას, ხშირად უნდა სვამდეს ისეთ ღია კითხვებს, რომლების ხელს უწყობს აზროვნების განვითარებას.

სწავლება - სწავლის მნიშვნელოვან სტრატეგიას წარმოადგენს სასიცოცხლო და ინტელექტუალური უნარების განვითარება, მათ შორის ჯანსაღი და უსაფრთხო ცხოვრების, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების აღმოჩენისა და გამოსავლის ძიების, ამოცანის დასმისა და გადაჭრის, არგუმენტირებისა და მსჯელობა დასაბუთების, შეფასების, წარდგინება- პრეზენტაციის და სხვა. შესაბამისად მასწავლებელი უნდა ფლობდეს იყენებდეს სწავლების მრავალფეროვან სტრატეგიებსა და მეთოდებს. მათ შორის აზროვნების განვითარებაზე, პრობლემებზე დაფუძნებული სწავლება; აღმოჩენის გზით, თანამშრომლობის გზით სწავლება; გამოცდილებაზე დამყარებული , პრაქტიკული სწავლება და სხვა.

საგნების ინტეგრირებული სწავლება, სკოლაში მიღებული გამოცდილება, ცოდნა და უნარჩვევები მოზარდს სამყაროს ერთიანობის აღქმას უნდა უყალიბებდეს, ამიტომ სასკოლო საგნები ერთმანეთთან მჭიდროდა უნდა იყოს დაკავშირებული, შეძენილი ცოდნა და უნარ-ჩვევები იმდენად მრავალფეროვანი, რომ მოსწავლემ თავისუფლად განსაზღვროს და დაგეგმოს თავისი შემდგომი კარიერა და მიაღწიოს წარმატებას.

მუხლი 19. სკოლის ხედვა და ღირებულებები

სკოლა განსაკუთრებულად ზრუნავს ისეთ ღირებულებების განვითარებაზე, როგორიცაა ღირსება, სამართლიანობა, ურთიერთპატივისცემა, სხვისი აზრის მოსმენა და აღიარება.

სკოლაში დიდი ყურადღება ექცევა ისეთი გავრცელებული სენის აღმოფხვრას, როგორიცაა პლაგიატობა (ანუ სხვისი აზრების მითვისება). მოსწავლეს ჩვევად უნდა ექცეს რეფერატის, პროექტის , საშინაო დავალების წერისა და წარდგინების პროცესში მიუთითოს თეზის, დასკვნის ან დებულების ავტორი; რესურსი, რომელიც მან გამოიყენა ამ პროცესში, მათ შორის: ღია ინტერნეტ-რესურსები, წიგნები, გაზეთები, პუბლიკაციები - ზუსტი დამისამართებით: სახელწოდების, ნომრის, გამოცემის წლის, ვებ -გვერდის მისამართით და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი პირად მაგალითზე ასწავლიდეს მოსწავლეს, რას ნიშნავს სამართლიანობა და ურთიერთპატივისცემა.

სკოლის მნიშვნელოვანი ღირებულებაა, რომ ნებისმიერი მიდრეკილების, შესაძლებლობის თუ ინტერესის მქონე ბავშვი მაქსიმალურად ჩართოს სასწავლო პროცესში, პიროვნული, ფსიქო-ემოციური, სოციალური, ქცევითი თუ ინტელექტუალური თავისებურების მიუხედავად.

თავი V. საგნობრივი ჯგუფები, მიზნები და ამოცანები

სავალდებულო და არჩევითი საგნები

მუხლი 20. საგნების დაჯგუფების მთავარი პრინციპები

1. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნები ერთიანდება 8 საგნობრივ ჯგუფში:

ა) სახელმწიფო ენა;
ბ) მათემატიკა;
გ) უცხოური ენები;
დ) საზოგადოებრივი მეცნიერებები;
ე) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
ვ) ტექნოლოგიები;
ზ) ესთეტიკური აღზრდა;
თ) სპორტი.

2. საგნობრივი ჯგუფები, საგნობრივი კომპეტენციების მიხედვით, მოიცავს როგორც სავალდებულო, ისე არჩევით საგნებს.
3. საგნობრივი ჯგუფები აერთიანებს მომიჯნავე დისციპლინებს.
4. საგნობრივ ჯგუფებში შემავალი საგნები ისწავლება სავალდებულო და/ან არჩევითი სახით ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე.
5. დაწყებით საფეხურზე საგნებს შორის ინტეგრაციის ხარისხი გაცილებით მაღალია, ვიდრე საბაზო და საშუალო საფეხურებზე, სადაც საგნები უფრო სპეციალიზებულად ისწავლება.

მუხლი 21. ქართული ენა და ლიტერატურა

ა) ქართული ენა და ლიტერატურა (ისწავლება I-XII კლასებში);

ბ) ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლის მიზანია მოზარდს განუვითაროს მშობლიურ ენაზე ძირითადი საკომუნიკაციო უნარები: წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი. გამოუმუშავოს მსოფლიო ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი პატივისცემა, შეაყვაროს კითხვა, ხელი შეუწყოს მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური აღქმისა და შეფასების უნარის ჩამოყალიბებას.

გ) განუვითაროს წიგნიერება. თანამედროვე გაგებით, წიგნიერება არის ცვალებად კონტექსტში კითხვის, წერის, ინფორმაციის დამუშავების, იდეებისა და მოსაზრებების გამოთქმის, გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემების მოგვარების უნარი იმ ცოდნის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში იძენს; ამ მიზნით განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ელემენტარულ საფეხურზე კითხვის გაკვეთილების ორგანიზებას, რის გამოც სასკოლო გეგმაში შევიდა ცვლილებები და III- VI კლასებში ქართულ ენასა და ლიტერატურას დაემატა 1 საათი კვირეული დატვირთვა და შეიქმნა წიგნიერების კომპეტენციის განვითარების სპეციალური პროგრამა (დანართი 5).

დ) XI-XII კლასებში კვირეული დატვირთვა განისაზღვრა 6 საათით. (მუხლი 30)

მუხლი 22. მათემატიკა

ა) მათემატიკის საგნობრივ ჯგუფს განეკუთვნება სავალდებულო საგანი მათემატიკა (ისწავლება I-XII კლასებში).

ბ) მათემატიკის სწავლების ძირითადი მიზანია მოზარდში ანალიტიკური, ლოგიკური, სისტემური და სიმბოლური აზროვნებისა და კვლევის უნარ-ჩვევის გამომუშავება. მათემატიკის სწავლამ მოსწავლეს უნდა შესძინოს ის უნარ-ჩვევები, რომლებიც მას დაეხმარება ცხოვრებისეული, პრაქტიკული პრობლემების გადაჭრაში.

გ) სასკოლო გეგმა ითვალისწინებს მათემატიკის გაღრმავებულ სწავლებას, რაოდენობრივი წიგნიერების დონის ამაღლებას (რაოდენობრივი წიგნიერება არის იმ უნარ-ჩვევების ერთობლიობა, რომელთა დაუფლება მოსწავლეს უადვილებს რიცხვის არსის გააზრებას, რაოდენობის სხვადასხვა ხერხით გამოსახვას, რიცხვებს შორის მიმართებების გაგებას, რაოდენობათა შედარებას. ეს უნარ-ჩვევები მოსწავლეს სჭირდება არა მხოლოდ მათემატიკის, არამედ სხვა საგნების შესასწავლადაც);

დ) მათემატიკის კვირეული დატვირთვა I- IV კლასებში განისაზღვრება 6 სთ-ით, V-XI კლასებში 5 სთ-ით, ხოლო მეთორმეტე კლასში 6 სთ-ით.

მუხლი 23. უცხოური ენები

1. უცხოური ენების საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო საგნები:
ა) პირველი უცხოური ენა- ინგლისური (ისწავლება I-XII კლასებში); 5 სთ.კვირეული დატვირთვა ყველა კლასისათვის.
ბ) მეორე უცხოური ენა -რუსული (ისწავლება III-XI კლასებში). 3 სთ კვირეული დატვირთვა III-IX კლასებში და 2 სთ- X-XI-ში.
2. პირველი უცხოური ენის სწავლება იწყება პირველი კლასიდან, ხოლო მეორისა – III კლასიდან.
3. უცხოური ენების სწავლებამ მოსწავლეს უნდა განუვითაროს სახელმწიფო ენასთან ერთად სულ მცირე ორ ენაზე კომუნიკაციის უნარი.
4. უცხოური ენების საგნობრივი ჯგუფის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, მოსწავლეებმა შეძლონ წერილობითი და ზეპირი ფორმით კომუნიკაცია უცხოურ ენაზე/ენებზე. ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს შეძენილი ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარის განვითარებას და ინგლისურ ენაზე წაკითხულის გააზრებას და გადაცემას; ამ მიზნით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მხატვრული ლიტერატურის კითხვას, IX-XII კლასებში, კვირეული დატვირთვის 5 საათიდან, 2 საათი ეთმობა ინგლისური ლიტერატურის შესწავლას.
5. სწავლის დასრულებისას ინგლისურ ენაში მოსწავლე უნდა ფლობდეს სIII-სVI დონეს (B2), ხოლო რუსულში - სIII დონეს (A2).

მუხლი 24. საზოგადოებრივი მეცნიერებები

1. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო საგნები:
ა) ჩვენი საქართველო (ისწავლება V-VI კლასებში);
ბ) საქართველოს და მსოფლიო ისტორია (ისწავლება VII- VIII, XI -XII კლასებში);
გ) საქართველოს ისტორია (ისწავლება IX კლასში);
დ) შესავალი ისტორიაში (ისწავლება X კლასებში);
ე) გეოგრაფია (ისწავლება VII- VIII კლასებში);
ვ) საქართველოს გეოგრაფია (ისწავლება IX კლასში);
ზ) მსოფლიოს გეოგრაფია (ისწავლება X კლასში);
თ) გლობალური პრობლემების გეოგრაფია (ისწავლება XI კლასში);
ი) სამოქალაქო განათლება (ისწავლება IX-X კლასებში);
კ) სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება (ისწავლება IV, VIII და XII კლასებში);
ლ) საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება (ისწავლება XI კლასში);
2. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს ინფორმირებული, აქტიური და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის აღზრდას; მიაწოდოს მოსწავლეს ინფორმაცია მშობლიური გარემოს შესახებ; დაეხმაროს მას, განსაზღვროს მშობლიური ქვეყნის ადგილი მსოფლიო ისტორიულ და გეოგრაფიულ პროცესებში; ჩამოაყალიბოს იგი პატრიოტ და ჰუმანურ ადამიანად. ამასთან, საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების სწავლებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეებში სამოქალაქო ღირებულებების გამომუშავებისთვის.

მუხლი 25. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო საგნები:
ა) ბუნებისმეტყველება (ისწავლება I-VI კლასებში);
ბ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საფუძვლები (ისწავლებაVII კლასში);
გ) ბიოლოგია (ისწავლება VIII-XI კლასებში);
დ) ფიზიკა (ისწავლება VIII-XI კლასებში);
ე) ქიმია (ისწავლებაVIII-XI კლასებში).
2. საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების მთავარი მიზანია, აზიაროს მოსწავლე მეცნიერების საფუძვლებს და განუვითაროს მას კვლევის უნარ-ჩვევები, რაც მოსწავლეს საშუალებას მისცემს შეიცნოს სამყარო, ჩაერთოს საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, იგრძნოს პასუხისმგებლობა საკუთარი თავის, საზოგადოებისა და გარემოს მიმართ.

3. სწავლების ერთ-ერთი მიმათულებაა ეკოლოგიური წიგნიერების განვითარება. ეკოლოგიური წიგნიერება გულისხმობს გარემოსადმი ადამიანის ჯანსაღი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს პირადი პასუხისმგებლობა გარემოში მიმდინარე პროცესების მიმართ, შეძლოს მონაწილეობა მის დაცვასა და აღდგენაში; ამ მიზნით სკოლაში შექმნილია ,, ნორჩ მკვლევართა კლუბი ბინული", კლუბის საქმიანობისა და ინტერესების სფერო განსაზღვრულია კლუბის წესდებით. (იხ. დანართი 4.)

მუხლი 26. ტექნოლოგიები

1. ტექნოლოგიების საგნობრივ ჯგუფს განეკუთვნება სავალდებულო საგანი ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. (ისწავლება I- VI კლასებში);
2. ტექნოლოგიების საგნობრივი ჯგუფის მიზანია: ხელი შეუწყოს მოსწავლეებში მედია და ციფრული წიგნიერების დონის ამაღლებას; დაეხმაროს მათ სხვადასხვა დარგისათვის სპეციფიკური ტექნოლოგიების დაუფლებაში და ამ ტექნოლოგიების გამოყენებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარებაში, როგორც სხვადასხვა საგანთან ინტეგრირებული სწავლებისას, ასევე ცალკე სწავლების გზით.
3.VII-XII კლასებში მოსწავლე ვალდებულია ელექტრონულ ფორმატში, შექმნას სხვადასხვა ხასიათის სასწავლო პროექტები, მოახდინოს წარდგინება, უზრუნველყოს შეძენილი ცოდნის რეალიზება, დამოუკიდებლად შეძლოს ცოდნის ტრანსფორმაცია და განვითარება, სკოლის ტექნოლოგიების მასწავლებლებთან და IT მენეჯერთან ინდივიდუალური კონსულტაციების მეშვეობით.

მუხლი 27. ესთეტიკური აღზრდა

1. ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო საგნები:
ა) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (ისწავლება I-IX კლასებში);
ბ) მუსიკა (ისწავლება I-IX კლასებში);
გ) ქართული ცეკვა (ისწავლება I- IV კლასში).
2. ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფის მიზანია, განუვითაროს მოსწავლეებს ხელოვნების ნიმუშების აღქმის, შეფასებისა და შექმნის უნარები; დაეხმაროს მათ ხელოვნების უნივერსალური ენის შესწავლასა და მისი საშუალებით ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ ფასეულობებთან ზიარებაში.
3. მოსწავლეთა ქართული ხალხური ცეკვის მიმართ გამოკვეთილი ინტერესის გამო სკოლაში ფუნქციონირებს ქართული ცეკვის ანსამბლი ,, ცისკრის ვარსკვლავი".

მუხლი 28. სპორტი

1. სპორტის საგნობრივ ჯგუფს განეკუთვნება სავალდებულო საგანი სპორტი (ისწავლება I-XII კლასებში).
2. სპორტის სწავლების მიზანია, მოსწავლემ გააცნობიეროს ჯანსაღი ცხოვრების მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში, ჩააბას მოსწავლე ფიზიკურ აქტივობებში და ამ გზით შეუწყოს ხელი მის ფიზიკურ განვითარებას;
3. I-VI კლასებში ისწავლება ვაჟებისათვის - რაგბი, გოგონებისათვის - ტანვარჯიში. VII-XII - კლასებში- მაგიდის ჩოგბურთი, 1 სთ კვირეული დატვირთვა, გარდა ამისა ფაკულტატივის სახით ცურვა და ჭადრაკი 2 სთ კვირეული დატვირთვით.
4. სსსმ მოსწავლეები (კერძოდ, ფიზიკური პრობლემების მქონე: საინვალიდო ეტლით მოსარგებლე, გონებრივი განვითარების დარღვევის მქონე, მხედველობისა და სმენის დარღვევის მქონე და სხვ.) სპორტის გაკვეთილებსა და სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობენ მათთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად.

მუხლი 29. არჩევითი საგნები

1. არჩევითი საგნების სწავლების მთავარი მიზანია მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოება და მათი გამოცდილების გამდიდრება. საკუთარი სურვილის მიხედვით არჩეული რამდენიმე საგნის სწავლება მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, მოსინჯონ საკუთარი ძალები სხვადასხვა საგანმანათლებლო სფეროში და უფრო ზუსტი წარმოდგენა შეიქმნან საკუთარი

მიდრეკილებებისა და მომავალში ასარჩევი გეზის შესახებ.
2. X კლასში ისწავლება მსოფლიო კულტურა; XI-XII კლასებში სახელმწიფო და სამართალი.
2. X-XII კლასებში მოსწავლემ უნდა ისწავლოს არჩევითი საგნები 5 სემესტრის განმავლობაში.
3. არჩევითი საგნის თითოეული მოდული ფასდება ცალ-ცალკე;
4. არჩევითი საგნები ისწავლება კვირაში ერთსაათიანი დატვირთვით;

მუხლი 30. „აბიტურის საათი"

სავალდებულო და არჩევითი საგნების გარდა მეთერთმეტე - მეთორმეტე კლასის საათობრივ ბადეში გათვალისწინებულია ე.წ. „აბიტურის საათები" იმ საგნებისთვის, რომელშიც ბარდება სკოლის გამოსაშვები გამოცდა. აღნიშნული „საათის'' მიზანია, ხელი შეუწყოს მოსწავლეს თითოეულ კონკრეტულ საგანში ნასწავლი მასალის გამეორებას სკოლის გამოსაშვები გამოცდისათვის განსაზღვრული პროგრამის მიხედვით.

მუხლი 31. კლუბური მუშაობა

კლუბური საქმიანობის მიზანია საერთო ინტერესებისა და მიდრეკილებების მქონე მოსწავლეთა გაერთიანება. სკოლაში ფუნქციონირებს რამდენიმე კლუბი; მათ შორის:
,,ნორჩ მკვლევართა კლუბი" , რომლის მიზანია საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისადმი ინტერესის გაღვივება, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და დანერგვა, ეკოლოგიური წიგნიერების ამაღლება.
ჭადრაკის, ცურვის , რაგბის, მხარდამჭერთა (ჩერლიდინგისა) და ქართული ხალხური ცეკვის, რომლის მიზანია მოსწავლეთა ჰარმონიული ფიზიკური განვითარება, თანამშრომლობისა და თანაგანცდის, გუნდური პასუხისმგებლობის ჩამოყალიბება.

მუხლი 32. საათობრივი ბადე

1. საათობრივი ბადე განსაზღვრავს მოსწავლეთა აუცილებელი კვირეული დატვირთვის, დამატებითი სავალდებულო საგანმანათლებლო და საღამოზრდელო მომსახურების, ფაკულტატური და კლუბური მუშაობის ჩამონათვალს, საათების რაოდენობას კლასების, საგნებისა და მომსახურების სახის მითითებით

კლასები		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
საგნობრივი ჯგუფი	საგანი												
ქართული	ქართული	7	7	7	7	6	6	5	5	5	5	6	6
I უცხო ენა	ინგლისური	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5
II უცხო ენა	რუსული			3	3	3	3	3	3	3	2	2	
მათემატიკა	მათემატიკა	6	6	6	6	5	5	5	5	5	5	5	6
ტექნოლოგიები	ინფორმატიკა	1	1	1	1	1	1						
ბუნებისმეტყველება	ბუნება	2	2	2	2	3	3						
	ბუნებისმეტყველება												
	ქიმია							2	2	2	2	3	
	ბიოლოგია							2	2	2	2.5	2	
	ფიზიკა							2	2	3	2	3	
საზ. მეცნიერ	ჩვენი საქართველო					3	3						
	ისტორია							3	3	3	3	3	5
	გეოგრაფია							2	2	2	2	2	

	სამ.განათლება									2	1.5		
	სამ.თავდაცვა და უსაფრთხოება				0.5				0.5				0.5
	მოძრაობის უსაფრთხოება											1	
არჩევითი საგნები	მსოფლიო კულტურა										1		
	სახელმწიფო და სამართალი											1	1
ესთ.და ფიზ. აღზრდა	გამ. ხელ/ხელ	2	2	1	1	1	1	1	0,5	0,5			
	მუსიკა	2	2	1	1	1	1	1	0,5	0,5			
	ქორეოგრაფია	1	1	1	1								
	სპორტი\რაგბი/ ტანვარჯიში	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
სულ საათები სასკოლო გეგმის მიხედვით		27	27	28	28.5	30	30	32	31.5	34	32	35	24.5

სასკოლო კომპონენტი ე.ს.ბ. განუსაზღვრულ საგნებში, (ფაკულტატივი და კლუბური მუშაობა)	ჭადრაკი	კვირაში ორჯერ
	ცურვა	48 საათი წლის განმავლობაში
	ბუნებისმ. კლუბი	კვირაში ერთხელ
	რაგბის კლუბი	კვირაში ორჯერ
	მხარდამჭერთა კლუბი (ჩერლიდინგი)	კვირაში ორჯერ
	ქართული ცეკვის შემსწავლელი ანსამბლი	კვირაში ოთხჯერ

დანართი 1. სასკოლო საათობრივი ბადე კლასების მიხედვით და შემაჯამებელი სამუშაოების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა;

დანართი 2. ინკლუზიური განათლება;

დანართი 3. სასწავლო წლის კალენდარი; ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების ჩამონათვალი;

დანართი 4. ,,ნორჩ მკვლევართა კლუბის" წესდება.

დანართი 5. სპეციალური რეკომენდაციები წიგნიერების კომპეტენციის განვითარებისათვის დაწყებით საფეხურზე